ნიანგი

7

გამოცემის 53-ე წელი, (№ 1473). აპრილი. 1976. ფასი 20 კაპიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. მ. აბაშიძისა

— გაიგე, ჩვენი ბაზის ყოფილი დირექტორისათვის კენჭი ამოუ-ღიათ?!

— მაგის მეტი ვერაფერი უპოვეს?!

ყველაფერი ვოვლანურე ვინცათვის

— გისმენთ, ბატონო!

— მე, გეთაყვა, კარაქი მომეცით!

— კარაქი რომელი გნებავთ, ასაწონი თუ შეფუთული?

— არა, მე ასაწონი მინდა, ორასი გრამი. თუ არ შეწუხდებით, ძგიდეს ნუ გამოაყოლებთ, ჩამოაჭერით, გეთაყვა!

— რას ბრძანებთ, ბატონო! ძგიდეს როგორ გაკადრებთ?! ძგიდეს აგერ ვაგროვებ ქილაში, მერე უკან ვუბრუნებთ ქარხანას. ერბოს ხდიან აქედან. კიდევ ხომ არ გნებავთ რამე, პატივცემულო?!

— დიახ, დიახ! კიდევ ავიღებ, გეთაყვა! ყველი მინდა, თუ არ შეწუხდებით!

— ყველს რომელს ინებებთ, ოსურს თუ იმერულს?

— იმერულს, ჩემო კარგო, იმერულს! სახაჭაპურედ მინდა!

— რამდენი მოგართვათ, პატივცემულო?

— კილონახევარი ამიწონეთ! იცით რა, ჩემო კარგო, სამ-ოთხ ქაღალდში გამიხვიეთ, თუ შეიძლება! ვატყობ, ნამეტანი წყლიანია: შორს ვცხოვრობ.

— ამ წუთში, ბატონო ჩემო, ქაღალდზე როგორ გეტყვით უარს!

— ახალი ნაჭერი ამოიღეთ, თუ შეიძლება! ეს არ მომწონს!..

— თქვენ რომელიც მოგწონთ, მითხარით და იმ ნაჭერს აგიწონით!

— იცით რა, გეთაყვა, აი, ეს ნაჭერი...

— მორჩით, ჰო, ბაზარს! არ წაიღეს ტვინი ამდენი ლაქლაქით?! — იღრიალა უცებ „დუბლიონკიანმა“ მუტრუკმა, რომელიც ზრდილობიანის უკან იდგა რიგში.

— ვ-ს უყვირი, შე ლაწირაკო?! ხომ არ გინდა, ახლავე ყბები დაგილეწო?!. შენი... — გაიქაჩა „ზრდილობიანი“ და კულტურული მომსახურების ერთსართულიანი მაღაზია მრავალსართულიანი გინების „ჰანგებმა“ დაფარეს...

— ვახ! მე შემაგინე, შე ქაჯო? მართლა შენი... — დაუბრუნა „ხურდა“ „დუბლიონკიანმა“ და ორკილოიან გირს დაავლო ხელი.

— გირი ადგილზე დადე, თორემ აქვე ნაწლავებს დაგაყრევინებ! — იყვირა „ზრდილობიანმა“ და ჯიბისკენ წაიღო ხელი.

აქ უკვე ვეღარ მოითმინა გამყიდველმა, ძეხვის საჭრელ დანას ხელი წამოავლო, დახლს რობინ ჰუდივით გადმოევლო და თვალის დახამხამებაში მოჩხუბრებს შუა გაჩნდა:

— კულტურული ვაჭრობა ვაცალეთ, თორემ დაგხოცავთ ორთავეს!! თქვენი. . — იღრიალა ცოფმორეულმა გამყიდველმა. . ამათ მრავალსართულიან გინებებს სატელევიზიო ანძა დააშენა ზემოდან. „ატყდა ერთი წივილ-კივილი სანიმუშო მაღაზიაში, რომლის ყველასაც ამშვენებდა ლამაზად გამოყვანილი პლაკატები:

„ვიბრძოლოთ კულტურული მომსახურებისათვის!“

„გამყიდველო, იყავი ზრდილობიანი მომხმარებლის მიმართ!“ „მომხმარებელო, იყავი ზრდილობიანი გამყიდველის მიმართ!“

გიგლა ფირცხალავა

ნახ. გ. ფირცხალავასი



— თქვენი გაძლება აღარ შემიძლია! თავს მომაკვლევინებთ!
— ახლა, როცა გადახურვა აღარ შეიძლება?!



— გავშვებო! ცენტრში პაიჭაძე თამაშობდა, მარცხნივ — მესხი, მარჯვნივ — მეტრეველი, ტრიბუნებზე კი ხალხი იჯდა!..

უპატრონო პატრონები

ჯგუფში ერთი აღმზრდელია
და სამოცი ბალღი! —
ასეთია „სანიმუშო“
ეს საბავშვო ბაღი!

კოვზი, თეფში, ჭიქა
არ დატოვეს სახლში!
— შვილო, საით მიგაქვთ?
— ჩვენს საბავშვო ბაღში!

რაც გვქონდაო, — გვითხრეს, —
ჩვენი ბაღი ჰკარგავს!
ბაღში, ჩემო დედა,
ხელსახოციც არ გვაქვს!

სათამაშოს ვყიდულობთ,
საშლელებს და ფანქრებს.
ყვავილებიც გვჭირდება,
ვინც მივიტანთ, გვაქებს!

აქ ერთია აღმზრდელი,
სამოცია — ბალღი!
სანიმუშო ყოფილა
ეს საბავშვო ბაღი!

აღარ უნდა მისვლა
ბაღში არც ერთ მალხაზს.
ბალღებს კი ჰყავთ პატრონი,
ბაღს პატრონი არ ჰყავს?

ზოთა ხოდაშნელი

საკონკურსო სცენარი

— ბაჭული, კონკურსია გამოცხადებული საბავშვო კინოსცენარებზე! პირველი პრემია — 1500 მანეთი, მეორე პრემია — 1000 მანეთი, მესამე პრემია — 500 მანეთი!.. რა იქნება, რომ დაწერო, სცენარი?! მთავარი გმირი იყოს ჩვენი ბავშვი!

— ვინა, ჩვენი შეშლილი და გადარეული ვაჟიშვილი, მთელი დღე თავპირდასისხლული რომ დადის და სახლში ლაზარეთი გამიხსნა? ამას ლიტერატურაში ანაქრონიზმი ჰქვია! მე ვერ დავწერ სიყალბეს! — იუარა ქმარმა.

— ზაზული, მამამ შენზე კინოსცენარი უნდა დაწეროს! 1500 მანეთს მისცემენ, გესმის? კინო! აი, რობინზონ კრუზოზე რომაა, იმისი მსგავსი!.. მხოლოდ ერთი პირობით: შენ უნდა გადაეჩვიო მელნის ჭამას, ფანჯრის შუშების ჩამტვრევას, მამიკოს ჩაიში მარილის ჩაყრასა და...

— ორლულიან სანადირო თოფს მიყიდის?

— ზარბაზანს გიყიდის!

— კარგი! — დაეთანხმა ზაზული და აღარ ჭამდა მელანს, არ ამტვრევდა შუშებს, მარილის მაგიერ შაქარს უყრიდა მამიკოს ჩაიში.

სამზარეულოში ჩაკეტილი მამამისი კი კინოსცენარს წერდა. პროლოგი არც ჰქონდა დასრულებული, რომ დამდუღრულივით აღრიალდა:

— არ შემიძლია! ეს ძალადობაა!

— რაო?! 1500 მანეთზე ამბობ უარს?! მე ზაზულის კლასის დამრიგებელს ვუთხარი, რომ ეპიზოდი თქვენ გეძღვნებათ, ერთ-ერთი მთავარი გმირი თქვენ იქნებით-მეთქი ... ქალი გადაყოლილია ჩვენს ბავშვზე, დაჰკანკალებს... ზაზულის დირექტორმაც მკითხა, დირექციის როლი ზაზულის აღზრდა-ჩამოყალიბებაში თუ აქვს გამოძერწილიო!..

— რას ამბობ, ქალო? ამ სცენარში სკოლა სულ არ მაქვს ნახსენები! — გაფითრდა ქმარი.

— მაშ, მე ტყუილად დავპირდი ზაზულის მასწავლებელსა და დირექტორს?! შენ გინდა, ჩემი ავტორიტეტი დაეცეს პედაგოგიური კოლექტივის წინაშე?! ეგეც არ იყოს, რას იტყვიან?! ოჯახში ერთი აზრი არა აქვთო! ამის ღირსი ვარ მე შენგან, შე დეგენერატო?!. ფუი, თავი მოგაქვს, მწერალი ვარო!.. დატკბი, წნევა ორასზე ამივარდა!

— დაწყნარდი, დაწყნარდი! ზაზულის მასწავლებელს კი არა, მამამისს, დედამისსა და მთელ მის შთამომავლობას გავაპერსონაჟებ!.. — სცენარისტი ქმარი ცოლს გულზე ცივ-ცივ ტილოებს აფენდა.

— სკოლის დირექტორს? — ამოიკნავლა ცოლმა.

— მის ცოლ-შვილს მომავალ კოსმონავტებად გამოვძერწავ!

— სკოლის დამლაგებელი არ გამოგრჩეს, ზაზულის მერხის წინ ისე აპრიალებს იატაკს, რომ ჩვენი ზაზული, ხანდახან, სარკის მაგიერ ხმარობს. ბაჭული, კონსტანტინოვიჩის გოჩა სცენარში ზაზულის გვერდზე დასვი!

— სცენარში ზაზული მარტო ზის.

— უი, რა გაიგონა ჩემმა ყურებმა! ბავშვს უკვე „არტეკისათვის" საგზური უშოვეს, შენ კი კონსტანტინოვიჩის გოჩას ტოვებ?! საბიჩმაც დარეკა, ყველაფერი გაუგია, თავის შვილზე ზოგ-ზოგი რამ მომიყვა.

— არ გამოვა, ფაბულა დაირღვევა!..

— შენ იცი, რომ იგი ალმასკომში ბინების ამბებშია?! არ მოგბეზრდა სამზარეულოში წერა?! ყველა აქ ჩამოთვლილი ბავშვი სცენარში უნდა შეიყვანო, თუ არა, ჩვენი ზაზული დაჰკარგავს ავტორიტეტს, მოხდება მისი წოდებრივი რეპუტაციის შელახვა!..

. . .

როგორც იქნა, დასრულდა სცენარი. რამდენიმე ხნის შემდეგ გაზეთში გამოქვეყნდა კონკურსის შედეგები: საუკეთესო კომედიური სცენარისათვის ბაჭულის მიეკუთვნა პირველი პრემია! იმ დღიდან მის სახლში ატყდა ტელეფონების შემზარავი ზრიალი:

— არ დავინახო ჩემს კლასში თქვენი დებილი შვილი! რა მქონდა მე საკომედიო?!

— სკოლის კედლებს დავანატრულებ! სკოლა კომედიად მიქცია, ხომ?! არ ვაპატიებ!

— მტვერსა და ნაგავში ამოვახრჩობ მაგ ტაკიმასხარას შვილს. — იმუქრებოდა ბაბულია დამლაგებელი.

— „არტეკიდან" გავარიცხინებ მაგ პამპულა კომედიოგრაფის შვილს! გამომივიდა მოლიერი, ეგ მართლა მორიელი! — იმუქრებოდა კონსტანტინოვიჩი.

— მაგ ბინაში ამოგალპობთ, თქვე კლოუნებო! — ბობოქრობდა ალმასკომელი საბიჩი.

აღებული პრემიის ფულიდან სცენარისტმა პირობა შეასრულა: იყიდა ორლულიანი სანადირო თოფი თავის დასაცავად, რადგანაც „არტეკიდან" ჩამოდიოდა მისი ცოლი და ვაჟიშვილი.

ავთანდილ ადეიშვილი

ჩვენ ხშირად გვესმის გამოთქმები: „მე ავაშენე", „მე მივუთითე", „მე მოვხსენი", „მე წამოვაყენე", „მე დავსაჯე" და სხვ.

უბედურება კიდევ ისიც არის, რომ, როცა ამჩნევენ ცალკეული ხელმძღვანელების ასეთ მიდრეკილებასა და სისუსტეს — წარმოაჩინონ საკუთარი პერსონა, კადრები ირყვნება.

თავდაპირველად ამ „მე"-ს გარშემო იკრიბებიან მლიქვნელები. ასხვაფერებენ ზემოთ თქმულს და დაბეჯითებით ეკიძახიან: „ეს თქვენ ააშენეთ!", „თქვენ მიგვითითეთ!" და სხვა და სხვა. მერე კი უკვე იწყება შეჯიბრება, ვინ უფრო უკეთ იტყვის საქებარ სიტყვას, ვინ უკეთ უმღერებს დითირამბებს ამა თუ იმ ხელმძღვანელს.

საქ. კპ ცკ XXV ყრილობის მასალებიდან

ნახ. გ. ლომიძისა

უსიტყვოდ

აუხდენელი სიზმარი

სუფრა გავშალე (ნუ მიწყენთ!) დღეობა მქონდა ვაჟისა
გოჭები თვითონ იწვოდნენ, წვეთავდა წვენი ბაჟისა;
ერთად დაეპყრო მაგიდა ხიზილალ-„ცოცხლის" მოხშირვას,
ინდაურსა და წიწილას, რაჭულ ხაშლამის ოხშივარს.
სოფელი მყავდა შეყრილი ჩემი კბილა და არკბილა,
თამადა თვითონ მე გახლდით! ვსვამდით, ვმღეროდით ხმატკბილად,
სადღეგრძელოებს რა მოლევს, მაგრამ მივყვები ამ კუთხეს,
სადაც ზის ჩემი გურამი — სოფელს რომ უდებს ქვაკუთხედს:
სამი შვილი ჰყავს (ბიჭები!) სურს, ორუღელაც გახადოს!
გვერდს შალვას ბიჭი უმშვენებს, ყოველ ჭიქაზე ლაღადობს.
მივესალმები ჩემს თედოს (ქერს დავულოცავ კაცურად!)
მან ხუთი შვილი გაზარდა! — დღეს ვაჟკაცებად დაძრულან!
გურამს დავლოცავ ოჯახით, ახალშეძენილ აკვანით! —
აგრონომია, ზვარ-ყანას თავზე ევლება, დაჰხარის!
არსენას ოჯახს სიცოცხლე! მხნედ იდგეს თავის მოდგმაში. —
თხუთმეტი ერთად რომ ცხოვრობს დიდ, პაპისეულ ოდაში!
ნანას და ნუნუს დიდება (სოფლის ახალი მედპუნქტით!)
კეთილო დანო, მკურნალნო, კაი ქორწილი გეკუთვნით!
მაგიდის წესი კი იცით: ყანწს ყანწზე ვაცლი კუჭისთავს.
უცბად შემოჰკრეს ზარებმა — „ნაგავი!" — მესმის ქუჩიდან
გამომაღვიძეს!.. გავჯავრდი, სიტყვა რომ ვერ ვთქვი ლიაზე,
ვეცი „ბორჯომს" და გამოველ მე სიზმრის „პახმელიაზე".
რის მეზობლები?! რა სუფრა?! (ვინ მიზის ბოლოს, ან — თავში?!)
ქალაქში ვცხოვრობ, ქირით ვარ ერთოთახიან სარდაფში.
ჩემი მაგიდის წევრებიც აგერ ცხოვრობენ, ლოტკინზე,
ქუსლებს გამზირებს აცვეთენ სასწაულების ლოდინზე.
არც ცოლი მყავს და არც შვილი! (ვინც სტუმრად მყავდა, — არც იმათ!)
გვეყოფა ესე სიზმარი განვლილი წლების დაცინვად!
დღეს, მგონი, ჭკუას მოვეგე (მეც მინდა, გავხდე მშობელი!)
მოვკიდებ ლიას ხელსა და, ალბათ, მიგვიღებს სოფელი!..

ვაჟა ჩორდელი



ნახ. მ. აბაშიძისა

— ამის გამკეთებლები ჩვენს კალათბურთელებს ამტყუნებენ, ბურთებს ვერ ყრიან კალათშიო!

ნახ. მ. აბაშიძისა

შინაგრა

მე, როგორც ნადირობის ტრფიალს, ამ სიტყვის გაგონებაზე გული შემოღონდა და ძლივს მომაბრუნეს!.. მართლა მწყერი თქვით, თუ მომეჩვენა?! როგორ?! თქვენ მწყერიც უნდა მოაშენოთ თქვენს ფაბრიკაში?! ის მწყერი, რომელიც ჩვენთვის, მონადირეებისათვის, ზღაპრად ქცეულა, რომლის ძებნაში ჩვენ, მონადირეები, დღეში 100 კილომეტრს გავდივართ ფეხით, ადვილად ვიტანთ შიმშილს, წყურვილსა და ყოველგვარ გაჭირვებას, რომ სადმე ერთ ნემსის ყუწისოდენა მწყერს თუ არა, მწყერჩიტას მაინც წავაწყდეთ. თავი მოვიტყუოთ, რომ სახლში ცარიელი არ დავბრუნდეთ და ცოლ-შვილს დასაცინი არ გავხდეთ. თქვენ კი მის მოშენებას აპირებთ!.. აპირებთ კი არა, კიდეც დაგიწყიათ ფაბრიკული წესით. ვიცი, ეს ფაუნის დამცველთა ინტერესებიდან გამომდინარეობს, მაგრამ რატომ ჩვენს მდგომარეობასაც არ ითვალისწინებთ? რა დაგიშავეთ, რომ გვლუპავთ? აბა, წარმოიდგინეთ, მთელი კვირადღის განმავლობაში ტყეში, ველსა თუ მინდორზე ხეტიალის შემდეგ სახლში ხელცარიელი ბრუნდები და ამ დროს მეუღლე დაგახვედრებს თქვენი ფაბრიკის გაპუტკუნებულ მწყერებს? ერთი მითხარით, რა გაუძლებს იმის ირონიას, იმის დაცინვასა და გაკილვას, რომ მე, თოფიან ვაჟკაცს, საბაზრო ხელახლითა ქალ მჯობნის? მაშინ ხომ თავი

მოგვკლა ქვეყანაზე? მაშინ ვინღა დაგვიჭერებს ნადირობისას გარდახდომილ. მაგრამ ჩვენს მიერ შეფეკრადებულ და ფაბრიკაშეფეულ ამბებს?

თუ თქვენ ასეთი ტემპებით გაგაგრძელეთ მეშაობა (და ამაში ეჭვიც არ მეპარება!) სულ მალე გნოლენის, კაკბების. შაშვებისა და, ვინ იცის, იქნებ კოლხური ხოხბების მოშენებაც დაიწყოთ! მაშინ ჩვენ, ფრინველებზე მონადირეებს, ისღა დაგვრჩენია, დავალოთ ჩვენი ტყვია-წამალი, გადავყაროთ ჩვენი თოფები, გადავაჯიშოთ ჩვენი მწყერები და მეძებრები ეზოს ძაღლებად, გავიხადოთ ჩვენი სამონადირეო ჩექმები, დავდგეთ მეფრინველეობის მაღაზის წინ რიგში და ხელმისაწვდომ სახელმწიფო ფასებში შევიძინოთ ძვირფასი ფრინველის ხორცი.

ოღონდ ერთ რამეს გთხოვთ ჩვენი, მწყერზე ცნობილი მონადირეების სახელით: ამიერიდან, მაღაზიაში რომ მწყერს გამოაგზავნით გასაყიდად, აუცილებლად გაუტუტავი გამოაგზავნეთ! ყვირა-საკამოობით ნადირობიდან პირდაპირ მაღაზიაში გამოვიკლით და პირობას გაძლევთ, რომ თითოეული მონადირე 10-15 ცალ მწყერს! ყოველთვის შეიძენს! ოჯახის წევრები რას გაგვიგებენ, ყანაში ვინადირებთ, თუ მაღაზიაში ვიყიდითო?! ამით ჩვენ, საკოდაგ მონადირეებს, შინაურობაში პრესტიჟი აგვიმაღლდება და, რაც მთავარია, გამართლდება ჩვენი ნადირობისათვის ოჯახის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა, თქვენ კი უაღრესად მადლობლები დაგირჩებით!

რაულ გაბუნაშვილი

ნახ. ბ. ბერაძისა



ᲣᲚᲘᲗᲧᲕᲘᲓ

ნახ. ᲯᲣᲜᲐ ᲑᲐᲜᲓᲖᲕᲘᲫისა

— ᲓᲦᲔᲡ ᲒᲔᲓᲜᲘᲔᲠ ᲨᲔᲤᲮᲖᲔ ᲛᲘᲛᲔᲥᲘᲠ, ᲜᲐᲚᲘ ᲔᲜᲐᲛᲘ ᲮᲐᲨᲘ!

ᲓᲘᲓᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲮᲐᲖᲣᲠᲘ

- **ᲡᲐᲪᲘᲚᲝ** ᲨᲔᲮᲐᲖᲣᲠᲘᲡ მარშივით უყვარდა.
- **ᲛᲘᲜᲐᲢᲣᲠᲐᲓ** გვერდს მხოლოდ წვრთნას უკლიდა.
- **ᲛᲐᲡᲐᲯᲔᲑᲘᲡ** მიერ დაწყვეტილი ნერვებით ორი „დინამოსხელა“ სტადიონი აშენდებოდა.
- **ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲛᲘᲪᲕᲔᲚᲘᲡ** როლსაც ნახევრად ასრულებდა.
- **ᲛᲔᲤᲐᲠᲛᲘ** ერთი „მკვდარი“ ბურთი აიღო და ხუთი „ცოცხალი“ გაუშვა.
- **ᲙᲐᲠᲨᲘ** სიზანტე მაინც გაიტანეთ!

ᲖᲐᲖᲐ ᲙᲐᲪᲘᲐᲕᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲙᲘᲗᲮᲔᲚᲘ

— რა დრო დადგა! იყო პერიოდი, ერთ სეზონში მილიონს ვაკეთებდი!..

— მილიონი რა არის, შე კაცო?! თითო მილიონს ყოველ სამ-ოთხ საათში ვაკეთებ!

— არ გადამრეო! სად მუშაობ?

— საავადმყოფოში ექთანად!

— კი მაგრამ, რაში აკეთებ ამდენს?

— კუნთებში!..

ნ. ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲫᲔ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ

— ქალო, იგი რა საძინი გიყიდია?!
— რა უჭირს... გადაკეცილია.
— კიდევ იმიტომ ვლოცავ ღვთისგან.

ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲚᲘᲚᲐᲕᲐ

* * *

— საფეტი გაქვთ?..
— რომელი ნომერი ენებავთ?
— ნომერი არ მახსოვს, მაგრამ დაახლოებით იმ ზომისა, იგი, ჩვენი ბიჭბისტენელს მაღაზიაში რომ პაპიდორი იყიდება!

Ო. ᲒᲣᲠᲘᲚᲘ

ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ

ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ — ᲮᲐᲠᲙᲘᲡ აკრეფის თანამედროვე წესი.

ᲛᲐᲓᲚᲘᲐᲠᲘ ᲡᲐᲡᲘᲐᲜᲘ — როცა უფროსი არაა დაწყებულებაში.

ᲓᲔᲓᲘᲛᲝᲐ — ᲓᲠᲝᲑᲐ (დღეკვანდელი გაგებით).

ᲗᲐᲗᲐᲠᲘᲜᲘ — ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲡ გაყვანის ტაქტიკა.

ᲒᲐᲫᲔᲡᲮᲕᲠᲐ — თავის გამოჩენისა და ფულის გამოჩენის საშუალება.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ

ᲘᲕᲔᲓᲘ

დანახშირდა მთელი სახლი
აივნიან-ოდიან...
კედლებიან-კიბიანად...
(სახუმარო როდია!)

მეზობლები ჩამინგრეულ
ბუხრის აგურს რომ თვლიან, —
სწორედ ამ დროს დაიძახეს:
„მეხანძრენი მოდიან!“

ᲐᲕᲗᲐᲜᲒᲚᲘᲚ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ

ᲠᲐᲪ ᲓᲐᲗᲔᲡᲐ, ᲘᲡ ᲛᲝᲘᲛᲙᲘ!

ᲣᲡᲐᲭᲛᲝᲛᲐᲡ, ᲑᲝᲪᲛᲐᲡ, ᲨᲣᲠᲛᲐ
ᲛᲘᲐᲬᲧᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲢᲘᲢᲐ:
ᲓᲦᲔᲛᲘ ᲗᲝᲠᲛᲘᲢ ᲬᲧᲠᲝᲔᲚᲘ
ᲒᲬᲐᲜᲗᲚᲘ —
ᲛᲝᲛᲩᲘᲒᲐᲜᲘ, ᲛᲝᲙᲐᲠᲒᲐᲫᲐ.

ᲧᲕᲔᲚᲡᲐ ᲠᲐᲪᲐ ᲛᲝᲣᲫᲔᲑᲜᲐ.
ᲐᲠᲪ ᲐᲛᲘᲠᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲙᲛᲔᲚᲛ,
ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲘᲗᲘ, ᲪᲘᲠᲮᲕᲘᲗ
ᲛᲘᲜᲐ ᲨᲔᲣᲠᲩᲔᲚᲘ
ᲨᲔᲣᲤᲝᲗᲔᲑᲘᲡᲐ.

ᲛᲘᲜᲐ ᲨᲔᲣᲠᲩᲔᲚᲘ
ᲨᲔᲣᲤᲝᲗᲔᲑᲘᲡᲐ.

ᲛᲝᲛᲠᲩᲘᲗ ᲙᲘ ᲭᲣᲠᲩᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲡ
ᲕᲐᲬᲘᲡ ᲜᲔᲜᲓᲠᲘᲗ ᲒᲐᲣᲑᲐᲠᲐ.
ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲗᲐᲪ ᲛᲐᲪᲘᲚᲝᲡ,
ᲐᲠᲪᲐ ᲐᲛᲘᲠᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲙᲛᲔᲚᲛ,
ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲘᲗᲘ ᲛᲝᲠᲩᲘᲗ ᲑᲘᲜᲐ.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ, ᲑᲘᲜᲓᲘ ᲐᲠ ᲔᲛᲓᲣᲠᲘᲐᲜ,
ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲝᲗᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲠᲘᲜ თუ ᲛᲝᲛᲘᲛᲘᲗ;
ᲛᲘᲜᲘᲡ „ᲠᲩᲘᲗᲘᲡ“, ᲛᲘᲜᲘᲡ ᲝᲗᲮᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲑᲔᲠᲘ ᲨᲔᲐᲛᲬᲛᲔᲑᲓᲐ.

ᲚᲐᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲓᲐᲐᲪᲘᲜᲔᲑᲓᲐ,
ᲭᲘᲡ ᲓᲐ ᲝᲮᲠᲐᲕᲓᲐ,
ᲜᲔᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲮᲕᲠᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡ
ᲨᲔᲣᲗᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ „ᲜᲘᲜᲝᲩᲚᲘᲡ“.

ᲠᲐ ᲡᲘᲐᲕᲔᲒ ᲡᲮᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲣᲠᲓᲐ,
ᲠᲐᲒ ᲓᲐᲗᲕᲘᲡ, ᲘᲛᲘᲡ ᲘᲛᲘᲡ! —
ᲗᲐᲕᲘᲗᲘᲜᲔ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲛᲘᲡᲮᲕᲠᲬᲚᲘᲡ
ᲨᲔᲣᲗᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ „ᲜᲘᲜᲝᲩᲚᲘᲡ“.

ᲐᲠᲐᲛᲙᲘᲗᲮᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ
ᲐᲛᲐᲢᲣᲠᲘᲐ,
ᲠᲘᲒᲘᲡᲚᲘ: „ᲔᲠᲗᲘᲗᲐ ᲛᲘᲗᲠᲝᲒᲚᲘᲗᲐ
ᲨᲘᲒ ᲔᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲐ ᲗᲣᲗᲐ.



„ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔᲡ ᲙᲘ“

RA არის „ᲑᲔᲠᲔᲓᲘᲡᲣᲚᲘ“? სამშენებლია, ნიეთი, რომელსაც არავითარი პრაქტიკული ღირებულება არა აქვს. გინახავთ შვიდი სპილო, ფორტეპიანოზე რომაა განლაგებული? ან შუა საუკუნეების ფრანგი ქალის ფიიფურის ფიგურა, მომაქმანებული ქვედა საცვალი რომ მოეჩანს გაფუფუნებული კაბიდან? ალბათ, გინახავთ... მაგრამ სად ნახავდით **ᲑᲐᲛᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲧᲠᲐᲒ ᲛᲐᲭᲐᲚᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲒᲝᲠᲒᲐᲡᲚᲐᲜᲘᲡ Ქ. № 24-ᲨᲘ** რომაა მოთავსებული (აქვეა **თბილისის ᲑᲐᲛᲑᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘ**). ჩვენ კი ვნახეთ.

თუ ფაბრიკის სამშენებლი ესთეტიკური მხრით დიდ ყურადღებას არ იქცევს, სამაგიეროდ **მისი ღირებულება — 4277 მანეთი**—აქეთკინზე გატანილ ანტიკვარულ ნივთსაც შეშურდებოდა. ბამბის საწერი მანქანა 1974 წელს მოუტანიათ ფაბრიკაში, გამოუცდიათ და ... ᲛᲘᲓᲘᲡ ᲓᲐᲧᲣᲤᲔᲑᲘᲡᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲔᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲠᲘᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲒᲘᲖᲘᲠᲕᲔᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲭᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲭᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲘᲡ ᲛᲣᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲠᲘᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲡ-ᲘᲔᲚᲘᲡᲞᲘᲠᲘᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲒᲘᲗᲮᲝᲕᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲒᲘᲗᲘᲐᲗ. ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲠᲝᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ — 4277 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ — ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲡ-ᲘᲔᲚᲘᲡᲞᲘᲠᲘᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲒᲘᲗᲮᲝᲕᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲒᲘᲗᲘᲐᲗ. ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲠᲝᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ — 4277 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ.

ᲩᲕᲔᲜ ᲙᲘ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲠᲝᲚᲘ ᲛᲝᲰᲮᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲔᲠᲙᲘᲡ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲠᲝᲚᲘ ᲨᲔᲣᲤᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲠᲝᲚᲘ ᲨᲔᲣᲤᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲔᲚᲘᲡ ᲐᲒᲑᲝᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲨᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲯᲘᲓᲘᲠᲘ ᲔᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ

ჩვენს სიტუაციაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან ერთხელ კიდევ შეავლო ჩაწითლებული თვალი თავის თავს, პონტონივით გაბერილი („ექვსბოთლიანი“) ღიპი ტრილიაჟის შუა სარკეში ვერ ეტეოდა და აქეთ-იქით სარკეებშიც გადადიოდა. გულმოსულმა შეატოკა მუცელი, შეისუნთქა, მკერდი წინ წამოწია. არაფერი გამოვიდა. ჭაბუკი პანტაგრუელის ღიპი ჟელესავით შეთამთამდა და ისევ ძველი ფორმა მიიღო. რა უყოს ამ ოხერს?!

ექიმმაც ზუსტად ეს უთხრა:

— რა ვუყო მე თქვენს მუცელს?!. ადრე ვარჯიშობდით?

— დიახ, ხანდახან...

—გეტყობათ, ახლა ცოტას მოძრაობთ!..

ცოტას მოძრაობთ ჰქვია!

დილით ლიფტამდე — 15 ნაბიჯი, ლიფტიდან მანქანამდე — 20 ნაბიჯი, მანქანიდან სამსახურის სადარბაზომდე — 5 ნაბიჯი, სადარბაზოდან კაბინეტამდე — 25 ნაბიჯი; სულ — 65 ნაბიჯი. სამსახურიდან სახლამდეც — 65, ე. ი. 130 ნაბიჯი დღეში! ღიპი კი არა. კიდევ კარგად გამოიყურება. ახლა მანქანა მაინც აჯანჯღარებს კაცს ცოტას... XXI საუკუნეში მინირაკეტებით რომ დაიწყება ფრენა საწოლიდან პირდაპირ კაბინეტის სავარძლამდე, — ღიპები მაშინ ნახეთ!

— მეტი უნდა იმოძრაოთ, ფეხით იაროთ, ირბინოთ! — თქვა ექიმმა. — ყოველ დილით იძუნძულეთ ეზოში და... ეცადეთ, ნაკლები სითხე მიიღოთ! განსაკუთრებით, ალკოჰოლიან სასმელებს ერიდეთ!..

„იძუნძულეთ!“ ადვილი სათქმელია!

ჩადი დილაადრიან ეზოში და ირბინე ჩვენს სიტუაციაში! მეტი კი არ უნდა მის მეზობლებს. მტერი ჩავარდა კუკურის, ჭიჭიკოს, სულიკოსა და კაკოს ყბაში! რა გაუძლებს მათ ქირქილ-სიცილს!

აბა, თავს ხომ არ მოიკლავს?!. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფეხსაცმლის ჩაცმაში უშლის ხელს...

დილით, ღია ლურჯი ფერის სპორტულ პიჟამოსა და თეთრ ბოტასებში გამოწყობილი, ეზოში ისეთი იერით დარბოდა, თითქოს ქვეყანაზე, მის გარდა, კაცის ჭაჭანება აღარ არსებობდა. ნაქსოვ პიჟამოში უფრო რელიეფურად გამოკვეთილი ღიპი მის ყოველ ნაბიჯზე ღირსეულად ირწეოდა.

მეზობლებმა თვალებს არ დაუჯერეს, როცა იგი ეზოში დაინახეს:

— გაგიჟდა, ხომ იცი! — თქვა კუკურიმ, საფეხქელთან მიატრიალ-მოატრიალა თითი და ღიპზე ჩამოისვა ხელი. — თანაც ჩვენს სიტუაციაში!

— ამხელა კაცი კუნტრუშს რომ დაიწყებს ეზოში, იმას მთლად კარგად ვერა აქვს საქმე ზედა სართულებში! — თქვა ჭიჭიკომ და ღიპზე აისვა ხელი. — თანაც მაგისი თანამდებობის კაცი!..

— სიჩქარეს მოუმატე, ხელში გაქვს მსოფლიოს რეკორდსმენის მედალი! — გადასძახა აივნიდან სულიკომ და ღიპზე დაიტყაპუნა ხელი.

— გეყოფა, თორემ გამოგიჩნდა ხერხემალი! — დაუძახა კაკომ და ღიპზე დაცურებული შარვალი ორივე ხელით აიწია.

სამსახურში წასვლისას, მანქანებში ჩასხდომამდე, ყველანი ეზოში შეიკრიბნენ.

— მაინც რა ბზიკმა გიკბინა?.. ჩვენს სიტუაციაში?!.

— ახლა ცოტა უნდა მოიკეთო, თორემ ცუდადაა საქმე!

— გადაწყვეტაზე გაქვს წელი!

იგი დონ კიხოტის თვითრწმენით იტანდა ყველა დაცინვა-განქიქებას.

— ისე... სწორად კი იქცევა ეს კაცი... — უცებ გაუბედავად თქვა ვიღაცამ. — მგონი, ჩვენც არ გვაწყენდა ცოტა ვარჯიში... ხალხი ეზოში კი არა, კუს ტბაზე დარბის...

წინადადებას სამარისებური დუმილით შეხვდნენ.

— სწორად იქცევა ერთია, მაგრამ მთავარი მაინც სასმელია.. — ოხვრას გული ამოაყოლა ჭიჭიკომ.

— კაცო, სასმელსაც გააჩნია. დალიე, შე დალოცვილო, პატარა ჭიქებით! არა, მაინცდამაინც ვედროთი უნდა ჩაგასხან! — აფეთქდა კუკური.

— ძალიან ბევრ სითხეს ვიღებთ! — თქვა სულიკომ. — მე მაქვს მამაჩემის ნაქონი წელში გამოყვანილი ჭიქები. იმით, ძმაო, სასიამოვნოც არის და არც დაგათრობს კაცს.

კვირა დღეს კი... ზუსტად ერთნაირ ლურჯ პიჟამოებსა და თეთრ ბოტასებში გამოწყობილნი ძუნძულით მიჰყვებოდნენ ერთმანეთს, პროფესიონალი სპრინტერებივით ტოლს არ უდებდნენ, აღარ ჩერდებოდნენ, ოხვრა-ქშენითა და ღიპების ხათქაცუთქით წრეს წრეზე უვლიდნენ...

— კარგი, კაცო, ნუ დავიხოცავთ თავს!.. — ბოლოს ამოიხვნეშა ოფლში გაცურებულმა კუკურიმ. — ამოდით ახლა ჩემთან!.. ჩეხური პივა მაქვს... პირველი ვარჯიში ხომ უნდა დავასველოთ?!. აბა, ნაბიჯით იარ!

ზ. ყორღანაშვილი

ტელ-ავივი ბევრს ლაყბობს ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მშვიდობიან მოწესრიგებაზე, თუმცა ისრაელის არსენალს ემატება სულ უფრო მეტი ამერიკული იარაღი, რომელიც მხოლოდ შეტევითი დანიშნულებისაა.

გაზეთებიდან

ისრაელური მშვიდობა

ვაი-ექსპერიმენტი

ცნობილია უთავობით,
მაინც დასვეს თავმჯდომარედ!
(ძალლი, შინ რომ არ ვარგოდა,
სანადიროდ დარბის გარეთ!..)

ზოგი ძალით დაიყოლა,
ზოგსაც თვითონ დაჰყვა ნებით,
ზოგან დასვა ბიძაშვილი,
ზოგან დასვა საყვარელი.

დიდ პრობლემებს და საკითხებს
არკვევს ხელის ერთი მოსმით,
გუშინდელი მუქთახორა
უცბად გახდა გენიოსი!..

მოზვერს არჩევს უშობლისგან,—
ფერმის ახლოს რომ გაივლის,—
ქელეხებში დაბრძანდება
ტრაქტორით და კომბაინით.

გადმოდგება ტრიბუნიდან,
სიტყვა იცის ორად ორი,
„ბორჯომს“ მოსვამს, ჩაახველებს
და გახდება ორატორი!..

. . .

ცნობილია უთავობით,
მაინც დასვეს თავმჯდომარედ!.
მაგრამ, სანამ შეიცნობენ,
სანამ მაგრად გაჯორავენ,

მანამ საქმე უკან მიდის,
(არვინ კარგავს თუმცა იმედს!)
ნეტავ, როდის მოეღება
ბოლო ასეთ ექსპერიმენტს?!

გურამ კლდიაშვილი



ნახ. ვ. კუციასი

— სიმონიჩ! ეს მცირე საჩუქარი თქვენ, — თანამშრომლებმა სამსახურში რომ არ დაიგვიანონ!

ნახ. ნ. ქელეხსაშვილისა

უსიტყვოდ

თბილისიდან და ხაშურიდან: დიდი ხნის ნანატრი ტელეფონი დიდი ხანია აღარ მუშაობს. საბონენტო გადასახადს მაინც გვახდევინებენ. ხომ შეიძლება, რომ არ გადავიხადოთ?

— როგორ არა! ეგ ბედნიერება ხომ ტელეფონის დადგმამდეც გქონდათ?! თანაც ფრთხილად იყავით, ურჩი გადამხდელის სახელი არ დაგერქვათ.

თბილისიდან: თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო ლაპარაკი შევუკვეთე: ვერ ვილაპარაკე. სალაპარაკო გადასახადის ქვითარი კი მაინც მივიღე, გადაიხადეთო! საინტერესოა, რაში მახდევინებენ ფულს?

— ალბათ, ტელეფონისტებს ბევრი ელაპარაკეთ, მალაპარაკეთო!

* * *

— **თბილისში** ვცხოვრობთ და საკუთარი ავტომანქანების მფლობელნი ვართ. წვიმის შემდეგ რა ვქნათ, სად გავრეცხოთ სახურავამდე ტალახში ამოსვრილი მანქანები?

— ზოგი სამსახურს აცდენს და მთელი დღე ავტომანქანის სამრეცხაოსთან დგას, ზოგი მთელ ოჯახს მობილიზაციას უკეთებს, სასმელი წყლითა და შამპუნით ბანს თავის ავტომანქანას, ზოგს კი ჭიქა სასმელი წყალი ენატრება... არჩევანი თქვენზეა!

* * *

ქუთაისი, ჭავჭავაძის პროსპექტი 39, 41, 43, 45--ის მცხოვრებნი: თითქმის მთელი ზამთარი ლოგინში გავატარეთ. მოხუცებულობისაგან რაც კბილები დაგვცვივდა, არ გვეყო? დარჩენილი უკანასკნელი სამი კბილი კაწკაწში დავკარგეთ. ცენტრალურ გათბობას შეგაერთეთო და, სწორედ მის მერე სულ გაცივდა ჩვენი რადიატორები. რა ვქნათ, როგორ გავთბეთ?

— სანთლის არაყი სვით, ლოგინიდან არ გადმოხვიდეთ და, კარგად რომ გამოზაფხულდება, ცენტრალური გათბობაც ამუშავდება!

ნახატი თემების ავტორები: ვ. ბაბუიძე, ა. ადეიშვილი, ვ. ცოტაძე, ბ. ლომოლი, ა. ერაძე, ჯ. ბანეშვილი, ვ. კუცია.

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლოვაძე (მთ. რედ. მოადგილე), ზ. ალავიაშვილი, ჯ. ლოდლუა, ბ. ლოგვინე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიფხანაძე, ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ფირცხალავა, ო. ჯალიძე. ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის ⊙ ტექნიკური რედაქტორი ბ. კუსლავიშვილი. ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის ბაზმაცალლობა, ⊙ ბადაგა ასაწყობად 10/III-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/III-76 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1. საერთაშორისო-საბაჭოთა-საბაზმაცალლო თანხა 1,6 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის ბაზმაცალლობის სტამბა, თბილისი, ლენინის. 14. ⊙ შეკვ. 977. ᲣᲒ 00703. ტირ. 138.000. ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42. Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი
ᲖᲣᲠᲚᲐᲜ ᲒᲔᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა
260
12/IV 7

76-260

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამხრეთ კორეაში შეიტანეს ატომური იარაღი და „F—111“ ტიპის გამანადგურებელი-ბომბდამშენი თვითმფრინავები.

გაზეთებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

Индекс 76127

ნახ. გ. ლომიძისა

პენტაგონისეული საყრდენი